



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 26

2018 წლის 2 თებერვალი

ქ.ლაგოდეხი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიისთვის გრანტის მიღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ამავე კანონის მე-100 მუხლის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

**მუხლი 1**

ქვეყანაში გენდერულ თანასწორობის კანონმდებლობის აღსრულებისა და დამკვიდრების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და სოფლად მცხოვრები მოქალაქეების თანასწორი გაძლიერების მიზნით, ქ. ლაგოდეხში 26 მაისის ქუჩაზე N25-ში მდებარე მერიის ადმინისტრაციულ შენობის პირველ სართულზე ოთახის რემონტისა და აღჭურვის მიზნით, მიეცეს თანხმობა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს, მიიღოს თანხმობა საქართველოს მთავრობისაგან გრანტის მიღებასთან დაკავშირებით.

**მუხლი 2**

განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**მუხლი 3**

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

საკრებულოს თავმჯდომარე



კარლო ჯამბურია